სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება
N 01-050401

4 მაისი **2015 წ.**

ქ. თბილისი

ერთის მხრივ სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“ (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი უფროსის მოვალეობის შემსრულებლის გივი ჩოჩიას სახით და მეორეს მხრივ ი/მ ქეთევან გოგუაძე (ს/კ 01021001333) (შემდგომში ,,მიმწოდებელი”), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის, პირველი პუნქტის „ს“ქვეპუნქტისა საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებლის შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც გაუწევს მომსახურებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს GEOTEST-ის მიერ მომზადებული მყინვარ დევდორაკზე ადრეული გაფრთხილების სისტემის ინტეგრირებისათვის აუცილებელი პირველადი ეტაპის - წინასწარი კვლევის ანაგრიშის (37 გვერდი) ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე თარგმნა (CPV- **79530000 - მთარგმნელობითი მომსახურება).**

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. მომსახურების გაწევის ფასი განისაზღვრება ლარებში.

3.2. ერთი გვერდის (ნათარგმნი) ღირებულება შეადგენს 10 (ათი)ლარს დღგ-ს გარეშე.

3.3. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს **370 (სამას სამოცდაათი)** ლარს დღგ-ს გარეშე.

3.4. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიწოდების ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს (დღგ-ს გარდა).

4. ანგარიშსწორების წესი

4.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.

4.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.

4.3 დაფინანსების წყარო: სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ 2015 წლის საკუთარი სახსრები.

4.4 ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტისა და შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

4.5 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს მომსახურების გაწევის კონტროლი,

5.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია დაესწროს ინსპექტირების პროცესს.

5.3 ინსპექტირებას „შემსყიდველის“ მხრიდან განახორციელებს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს თანამშრომელი.

6 მომსახურების გაწევის პირობები

6.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება არაუგვიანეს 2015 წლის 6 მაისისა.

6.2 მომსახურების გაწევა განხორციელდება მიმწოდებლის ფაქტობრივ მისამართზე: ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ. N108.

7 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებით, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს გაწეული მომსახურების ჩამონათვალი, ღირებულება, ჯამური თანხა, მომსახურების ხარისხობრივი შესაბამისობა ხელშეკრულების პირობებთან, ხელშეკრულების რეკვიზიტები, მიღება-ჩაბარების გაფორმების თარიღი და ადგილი. (შემსყიდველის მხრიდან მიღება ჩაბარების აქტზე ხელმოწერას განახორციელებს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს უფროსი).

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.3. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 8 ივნისის ჩათვლით.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

შემსყიდველს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება:

11.1 მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია უზრუნველყოს მოსახურება ან მისი ნაწილის გაწევა;

11.2 მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

11.3 შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

11.4 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

11.5 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, 3 დღის ვადაში უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

15. შეტყობინების განხორციელება

ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

16. გამოყენებული სამართალი

ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

17. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება დაწერილია ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

18. გადასახადები და დაბეგვრა

18.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

18.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

19. დამატებითი პირობები

19.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

19.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

19.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

19.4 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“	ი/მ ქეთევან გოგუაძე
მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №150.	ს/კ 01021001333
საიდენტიფიკაციო კოდი: 204559691	იურ. მის: ქ. თბილისი, თემქის დას. მე-3
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა	მ/რ, 2კვ. კ.31, ბ.88
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში	სს „თი ბი სი ბანკი“
ბანკის კოდი: TRESGE22	კოდი: TBCBGE22
ტელ: 243 95 45	ა/ა GE18TB1189136010101011
გივი ჩოჩია უფროსის მოვალეობის შემსრულებელი	ი/მ ქეთევან გოგუაძე

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი

4 მაისი 2015 წ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსა და ი/მ ქეთევან გოგუაძეს შორის 2015 წლის 4 მაისის N01-050401 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მოთხოვნებს.

_____ გივი ჩოჩია

_____ ეკა ბეჟაშვილი

_____ დათო ქოჩიაშვილი